პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 245 (5275)

1974 წ. 11 დეკემბერი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




## ჟაბოტინსკის მშობლიურ ქალაქში

დღეს უკრაინის ქალაქ ზაპოროჟიეში იწყება სსრ კავშირის თასისა და ჩემპიონთა მცირე მედლების გათამაშება ძალოსნური ორჭიდის ცალკეულ სახეობებში. თასისთვის იბრძოლებენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები. ამ ტურნირში ერთი სიახლეც არის: ორი გუნდით იქნებიან წარმოდგენილი რსფსრ-ს და უკრაინის ძალოსნები. ამ რესპუბლიკაში მრავლად არიან მაღალი კლასის ათლეტები.

სტუმრებს მიიღებს ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლ. ჟაბოტინსკი. როგორც ცნობილია, შესანიშნავი საბჭოთა გოლიათი 4-წლიანი შესვენების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ფიცარნაგს და 36 წლის ასაკში შეძლო მსოფლიო რეკორდის დამყარება. ის ახლაც მზადაა სასპარეზოდ, თუმცა ცოტა ხნის წინათ მუხლის სახსრის ოპერაცია გადაიტანა. თუ ექიმები მას ამჯერად არ მისცემენ ასპარეზობის უფლებას, მაშინ შეჯიბრების დამთავრების ზუსტად სამი თვის თავზე კვლავ ამ ქალაქში სტარტს აიღებს საერთაშორისო ასპარეზობა — „მეგობრობის თასი“, სადაც ჟაბოტინსკის საშუალება მიეცემა დაამტკიცოს, რომ კიდევ შესწევს ძალა რეკორდებზე იერიშის მისატანად.

„იუნოსტის“ სპორტის სასახლის ფიცარნაგზე გამოვა საბჭოთა ძალოსნობის მოწინავე რაზმი, რომელიც, ვიმედოვნებთ, სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის გულშემატკივართა იმედებს გაამართლებს და არა ერთი რეკორდით გაგვახარებს. იმათს შორის, ვისაც „ჩვეულებად“ აქვს რეკორდების დამყარება, ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა შახტელი ძალოსანი დ. რიგერტი. თანაქალაქელ გ. ალექსეევთან ერთად ის ერთ-ერთი მთავარი „დამრტყმელი ძალაა“ რეკორდებზე საიერიშოდ. ჩვეულებრივ, რიგერტი ქვემძიმე წონაში გამოდის, მაგრამ ამ შეჯიბრებაში შეიძლება უფრო მაღალ წონითს კატეგორიაში სცადოს ძალა. სპეციალისტთა აზრით, რიგერტს ყოველგვარი საფუძველი აქვს უმაღლესი ჯილდოებისთვის იბრძოლოს. საკმარისია აღინიშნოს, რომ ბოლო მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ფილიპინებზე გაიმართა წლეულს სექტემბერში, რიგერტს უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდა, ვიდრე მძიმე წონაში გამარჯვებულს.

ჩვენი რესპუბლიკის ძალოსნება ზაპოროჟიეში სასპარეზოდ გაემგზავრნენ ასეთი შემადგენლობით: ვ. საველიევი, გ. სითათაშვილი, დ. შანიძე, ა. ოსანაძე, ა. კიადიკოვი, ვ. ლობჟანიძე, დ. გაბაძე, ო. დემუროვი, ნ. ნახუცრიშვილი, რ. ტარკილი, ა. ჯეჯელავა (მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი შ. წერეთელი).

• • •



სურათზე: რესპუბლიკის ნაკრების წევრი ნ. ნახუცრიშვილი ასპარეზობისას.

მ. ზარგარიანის ფოტო.

### ტელეეკრანებზე

ძალოსნობის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ შეჯიბრების ნახვა შეუძლიათ ცისფერ ეკრანებზე. ცენტრალური ტელევიზია პირველი პროგრამით გადასცემს ასპარეზობას შემდეგ დღეებში: 13 დეკემბერს — 23 საათსა და 30 წუთიდან, 15-ში — 00 საათსა და 5 წუთიდან, და 23 საათსა და 35 წუთიდან (თბილისის დროით).



## „ჟალგირისმა“ რევანში აიღო

### პირველ დამატებითს დროში

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

**სვერდლოვსკი.** „ჟალგირისის“ კალათბურთელები თვლიან, რომ 8 დეკემბერს ხაღდი ქულა დაკარგეს „ურალმაშთან“ შეხვედრაში. რაზეა დამყარებული ეს მტკიცება, ძნელი სათქმელია. იქნებ იმაზე, რომ პირველ ტაიმში წაგებული 14 ქულა, მეორეში ცხრამდე დაიყვანეს? ამბობენ „ჟალგირისს“ უბრალოდ დრო არ ეყო მდგომარეობის გამოსასწორებლადო. ასეა თუ ისე, სვერდლოვსკელებმა ის მატჩი მოიგეს და პირველი ქულა ჩაიწერეს სატურნირო ცხრილში.

განმეორებითს შეხვედრაში ლიტველი კალათბურთელები უფრო ყურადღებით იყვნენ. მათ თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და მასპინძლებს იმედის ყოველგვარი ნიშანწყალი გადაუწურეს. პირველი ტაიმის შემდეგ (იგი „ჟალგირისმა“ 11 ქულით მოიგო — 46:35) მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. გაიმარჯვა „ჟალგირისმა“ — 87:78.

**ტალინი.** „კალევისა“ და მოსკოვის „დინამოს“ ორთაბრძოლა უაღრესად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. გამარჯვებული გამოვლინდა პირველ დამატებითს დროში. წარმატებას „დინამომ“ მიაღწია — 72:71.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 10 | 9 | 1 | 896-722 | 9 |
| „დინამო“ (თბ.) | 10 | 9 | 1 | 874-826 | 9 |
| ცსკა | 10 | 8 | 2 | 966-819 | 8 |
| „დინამო“ (მ.) | 9 | 8 | 1 | 775-645 | 8 |
| „ჟალგირისი“ | 12 | 8 | 4 | 1035-1002 | 8 |
| „კალევი“ | 9 | 3 | 6 | 734-738 | 3 |
| „სტროიტელი“ | 8 | 2 | 6 | 664-697 | 2 |
| „სტატიბა“ | 10 | 2 | 8 | 786-896 | 2 |
| რტი | 10 | 1 | 9 | 775-918 | 1 |
| „ურალმაში“ | 14 | 1 | 13 | 1110-1352 | 1 |

### დეკემბრის კალენდარი

როგორც ვიუწყებოდით, ნოემბრის მიწურულში დაიწყო I ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო პირველობა.

გთავაზობთ დეკემბრის თვის კალენდარს:

**14-15.** ასკ (კიევი) — „სპარტაკი“ (ნიკოლაევი), „ავანგარდი“ (დონეცკი) — „ტრუდი“ (კრასნოდარი); **17-18.** „კრასნი კოტელშჩიკი“ (ტაგანროგი) — „ტრუდი“ (კრასნოდარი); **21-22.** „ავანგარდი“ (დონეცკი) — ასკ (კიევი), „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „პოლიტექნიკი“ (კიშინიოვი); **24-25.** „კრასნი კოტელშჩიკი“ (ტაგანროგი) — ასკ (კიევი), „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ნიკოლაევი); **25-26.** „ტრუდი“ (კრასნოდარი) — „პოლიტექნიკი“ (კიშინიოვი); **28-29.** „ტრუდი“ (კრასნოდარი) — „სპარტაკი“ (ნიკოლაევი), „კრასნი კოტელშჩიკი“ (ტაგანროგი) — „ავანგარდი“ (დონეცკი).




თბილისი-74

## მხოლოდ ერთი პარტია დამთავრდა

გუშინწინ მემორიალის მონაწილეებს დასვენების დღე ჰქონდათ. დილით მონაწილეთა ერთი ჯგუფი ექსკურსიაზე გაემგზავრა მცხეთაში და ჯვარზე. მერე მათ საქართველოს სამეცნიერო და დოკუმენტური ფილმების სტუდიაში ქართული კინოდოკუმენტალისტების რამდენიმე საინტერესო ნამუშევარი ნახეს.

საღამოს ჭადრაკის სასახლეში საერთაშორისო ოსტატები რ. კინი (ინგლისი) და გ. სიგურიონსონი (ისლანდია) ჭადრაკის გულშემატკივრებს შეხვდნენ. საინტერესო ლექციების შემდეგ მათ ერთდროული თამაშის სეანსები მოაწყვეს.

გუშინ დილით კი ჭადრაკის სასახლეში ბრძოლა განახლდა X ტურიდან გადადებულ სამ პარტიაში. ვ. ბაგიროვმა (ბაქო) ზუსტი თამაშით სძლია ა. შნაპიკს (პოლონეთი). ა. ტუზოვსკი (სოხუმი) — ვ. უბილავას (თბილისი) და რ. ხოლმოვ (მოსკოვი) — ვ. შმიდტის (პოლონეთი) პარტიები კვლავ გადაიდო.

● ●

### მეგობრული შარჟი

ლებრედო (კუბა) — ნიჩევსკი (იუგოსლავია)

შ. შანიძის ნახატი.

## კვლავ ბელიავსკი

სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა 42-ე ჩემპიონატში (უმაღლესი ლიგა) გუშინწინ VII ტური გაიმართა. კვლავ წარმატებით ითამაშა ერთპიროვნულმა ლიდერმა ა. ბელიავსკიმ (ლვოვი), რომელმაც უკრაინის ჩემპიონი ლ. ალბურტი დაამარცხა. ახლა მას 5 ქულა აქვს.

ლიდერს კვალში მიჰყვება ჯერჯერობით მხოლოდ ლ. პოლუგაევსკი (მოსკოვის ოლქი), რომელსაც 4,5 ქულა დაუგროვდა ვ. კუპრეიჩიკთან (მინსკი) მოგების შემდეგ. მარცხი იწვნია რ. ვაჰანიანმა (ერევანი) ვ. ცეშკოვკისთან (ომსკი) შეხვედრაში.

ყაიმით დამთავრდა პარტიები: ვ. სავონ (ხარკოვი) — კ. გრიგორიანი (მოსკოვი) და მ. ტაიმანოვ (ლენინგრადი) — გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი). სამი შეხვედრა (ო. რომანიშინი — მ. დვორეცკი, ი. ბალაშოვი — ე. ვასიუკოვი, მ. ტალი — ბ. გულკო) გადაიდო.

## ხაშურელთა წარმატება

ხაშურში დამთავრდა „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს გუნდური პირველობა ჭადრაკში. ბრძოლაში 9 გუნდი მონაწილეობდა. თითოეულ კოლექტივში ორი ვაჟი და ერთი ქალი იყო.

გთავაზობთ ტურნირის შედეგებს: I. ხაშური — 19,5 ქულა. II მახარაძე — 19, III. აჭარა — 13. შემდეგ ადგილებზე არიან: ფოთი — 12, ზუგდიდის რაიონი — 11,5, აფხაზეთი — 9, კასპი — 8,5, რუსთავი — 8, ქ. ზუგდიდი — 7,5.

პირად ჩათვლაში აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აჩვენა ბათუმელმა მოსწავლემ, 15 წლის პირველთანრიგოსანმა თ. ვაშალომიძემ — 8 ქულა 8-დან. ამ შედეგისთვის ჭაბუკ მოჭადრაკეს ოსტატობის კანდიდატის ერთი ბალი მიეკუთვნა.

ხაშურის სპორტის მესვეურებმა, რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ნოზაძემ და „სპარტაკის“ რაისაბჭოს თავმჯდომარემ ვ. მოსეშვილმა იზრუნეს, რომ პირველობა კარგად ჩატარებულიყო. მონაწილეებმა თავისუფალ დღეს რაიონის ღირსშესანიშნაობანი დაათვალიერეს.

სამწუხაროდ, ტურნირში მონაწილეობას თავი აარიდეს თბილისის, ქუთაისის, გორისა და სხვა ქალაქების სპარტაკელმა მოჭადრაკეებმა.

ს. პახლაჯიანი,
შეჯიბრების უფროსი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.



## სპარტაკიადის წელიწადს...

საბჭოთა სპორტის მოყვარულებისთვის მომავალი 1975 წელი სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის წელია. ეს ასპარეზობა, რომელიც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს ეძღვნება, ჩატარდება დევიზით „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“. წინა ხუთი სპარტაკიადა მოსკოვში ჩატარდა, ახლა კი ამ დიდი სახალხო ასპარეზობის ფინალური შეჯიბრებები მოეწყობა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქებში, აგრეთვე ლენინგრადში, კაუნასში და სხვაგან.

მეორე დიდი საკავშირო ასპარეზობა იქნება პროფკავშირთა ზამთრის VIII სპარტაკიადა, რომლის შეჯიბრებებიც სვერდლოვსკში, ტერსკოლსა და ბრატსკში ჩატარდება.

1975 წელს საბჭოთა კავშირის 118 ქალაქში ჩატარდება დიდი სპორტული შეჯიბრებები, ქვეყნის ჩემპიონატები, თასების გათამაშებები, ბევრი სხვა საინტერესო ტურნირი და შეხვედრა. ასეთი დიდი მასშტაბი საკავშირო შეჯიბრებებს, შეიძლება ითქვას, ჯერ არ ჰქონია. ყველა ეს შეჯიბრება, აგრეთვე, მაისისთვის საბჭოთა კავშირში დაგეგმილი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები, საერთაშორისო ტურნირები და შეხვედრები პირველი რეპეტიცია იქნება 1980 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის.

ბევრი შეჯიბრება საბჭოთა კავშირში პირველად ჩატარდება. მაგალითად, ოქტომბერში ბელორუსიის დედაქალაქში თავს მოიყრიან სხვადასხვა ქვეყნის ათლეტები, რომლებიც იბრძოლებენ მსოფლიო ჩემპიონობისთვის კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, აგრეთვე სამბოში. ის, რომ სამოყვარულო ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ ასპარეზობის სარბიელად მინსკი აირჩია, შემთხვევითი არ არის. მინსკი დიდი სპორტული ტრადიციების ქალაქია. აქ ცხოვრობს სამი ოლიმპიადის ჩემპიონი, შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ა. მედვედი, რომლის დამსახურების აღსანიშნავადაც ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო ტურნირები. 1967 წელს მინსკში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში.

აგვისტოში მოსკოვის ერთ-ერთ აუზში ჩატარდება ევროპის თასის გათამაშება მოცურავე ვაჟთა შორის. საბჭოთა კავშირისთვის დებიუტი იქნება, აგრეთვე, მსოფლიო პირველობა ძალოსნობაში, რომლის ჩატარებაც მოსკოვშია დაგეგმილი სექტემბრისთვის. მართალია, მოსკოვში (1967 წელს) და ლენინგრადში (1968) სხვა დროსაც ჩატარებულა ძალოსანთა დიდი ჩემპიონატები, მაგრამ ეს ევროპული რანგის შეჯიბრებები იყო.

სეზონის დიდი მოვლენა იქნება მეგობრული არმიების ზამთრის სპარტაკიადა, რომელიც თებერვლის დამლევს დაიწყება ლენინგრადის შემოგარენში. ასპარეზობის პროგრამაში შედის სათხილამურო რბოლა, ორჭიდი, ბიატლონი, ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა, ჰოკეი და სამთო-სათხილამურო სპორტი. სამთომოთხილამურეთა შეჯიბრება კიროვსკის შემოგარენში ჩატარდება.

ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრებებიდან უნდა აღვნიშნოთ ბალტიის აფროსანთა რეგატა. ამჯერად აფრიანი ნავებით რბოლა მოეწყობა ტალინის აკვატორიუმში, ქალაქში, სადაც უნდა ჩატარდეს 1980 წლის ოლიმპიადის შეჯიბრება ამ სახეობაში.

1973 წელს კიევში წარმატებით ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი საცხენოსნო სამჭიდში. აგვისტოში უკრაინაში მოეწყობა კონტინენტის პირველობა ცხენის გაწვრთნაში. უფრო ადრე — ივლისში — აქვე ჩატარდება სსრ კავშირისა და აშშ-ს მძლეოსანთა ტრადიციული მატჩი. საერთაშორისო შეჯიბრებათა სეზონი დეკემბერში დამთავრდება ხელბურთელ ქალთა გუნდების მსოფლიო ჩემპიონატით. თამაშები ჩატარდება კიევში, ვილნიუსში, ზაპოროჟიესა და დონის როსტოვში.

საბჭოთა სპორტსმენები, როგორც მუდამ, აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ, საზღვარგარეთ გამართულ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში.

საქველმოქმედო

VI სპარტაკიადა
თბილისი

# მხოლოდ „განთიადი“

თბილისის სპარტაკიადაში შვიდი სპორტსაზოგადოებისა და უწყების ნაკრები კოლექტივები ჩაებნენ. მართალია, საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობის პრეტენზია ყველას არ აქვს, მაგრამ შეუწყნარებელია ის, რომ აფროსნობის განვითარებისთვის „განთიადის“ გარდა არავინ ზრუნავს და სპარტაკიადაში ერთი კლასის ნავით ასპარეზობაც კი ვერ შეძლეს.

ფაქტიურად ამ შეჯიბრებისთვის თბილისის სპარტაკიადა კი არა, თამამად შეგვეძლო „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა გვეწოდებინა. შეჯიბრებები ხუთი კლასის ნავებით ჩატარდა და ხუთივეში მხოლოდ „განთიადის“ აფროსნები მონაწილეობდნენ.

ასეთ პირობებში ასპარეზობას თითქოს ინტერესი უნდა დაეკარგა, მაგრამ სპორტსმენების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ კარგად აქვთ შეგნებული ამგვარ ტურნირებში მონაწილეობას თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის სამზადისში, ამიტომაც ისინი ყველა სტარტს მთელი სერიოზულობით მოეკიდნენ.

ცხადია, „განთიადს“ გუნდური გამარჯვება სტარტამდე გარანტირებული ჰქონდა. სამაგიეროდ, თბილისის რაიონების შესახებ ამას ვერ ვიტყვით (როგორც ცნობილია, თბილისის სპარტაკიადაში დედაქალაქის რაიონების ფიზკულტურის კომიტეტები პარალელურ ჩათვლას იღებენ), ვინაიდან „განთიადის“ აფროსანთა მთელ არმიას თბილისის ყველა რაიონის წარმომადგენლები შეადგენენ და ახლა, ამ სპარტაკიადაში, ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, თავს ვინ როგორ გამოიჩენდა.

ყველაზე კარგად იასპ ლენინის რაიონის წარმომადგენლებმა იასპარეზეს. საბოლოოდ მათ 43,5 ქულა დააგროვეს და პირველი ადგილიც დაისაკუთრეს.

მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: ორჯონიკიძის რაიონი — 19,166 ქულა, I მაისის რაიონი — 19,0, კალინინის რაიონი — 10,334, ოქტომბრის რაიონი — 4, საბურთალოს რაიონი — 3, კიროვის რაიონი — 2.

პირად პირველობაში ყველაზე კარგი მომზადება გამოავლინა გ. ბიგანიშვილმა, რომელიც „ფინის“ კლასის ნავით გამოდიოდა. მას არცერთი რბოლა არ წაუგია და პირველი ადგილი ისე დაისაკუთრა, რომ არცერთი საჯარიმო ქულა არ მიუღია. II ადგილზე გავიდა თ. ლაზაშვილი — 23,4 საჯარიმო ქულა, III — თ. მელაძე — 29.

სხვა კლასის აფრიანი ნავებით შეჯიბრებაში უპირობოდ არავინ გადარჩენილა, მაგრამ ფავორიტები ყველა კლასს ჰყავდა. „მფრინავი ჰოლანდიელის“ კლასში ასეთი იყო გ. ქიტუაშვილი — გ. ჭკადუას დუეტი, ხოლო კატამარან „ტორნადოთი“ — შ. კოკაია — მ. ბასკაკოვის წყვილი.

შეჯიბრებამ დაგვანახა, რომ საქართველოს სპარტაკიადაში თბილისის აფროსანთა ნაკრების გამოყვანა არ უნდა გაუჭირდეს და პირველი ადგილისთვის ბრძოლის დიდი შანსიც აქვს, მაგრამ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის საქართველოს ნაკრებში თბილისელები მხოლოდ ნაწილს თუ შეავსებენ. ცხადია, ამ მდგომარეობას ადგილი არ ექნებოდა, რომ დედაქალაქში აფროსნობის განვითარებისთვის „დინამო“, „ბურევესტნიკი“, ასკ და სხვა სპორტსაზოგადოებები თუ უწყებები რომ ზრუნავდნენ.

სხვა ტექნიკური შედეგები. „მფრინავი ჰოლანდიელი“. ვ. ქიტუაშვილი — გ. ჭკადუა — 3 ქულა, თ. ზოიძე — თ. კალანდაძე — 12, გ. თინიკაშვილი — გ. ვარდიკოვი — 34,2. „470“. რ. ჩაჩუა — ი. კაზიევი — 6,7, გ. ლარიბაშვილი — ა. ყიფიანი — 12,0, გ. ლომთათიძე — თ. დუდუშაური — 25,9. „სოლინგი“. დ. კუპრაძე, თ. ჯაფარიძე, რ. სირაძე — 9, ი. ფერაძე, ნ. დავლიანიძე, ი. ლომთათიძე — 17,4, გ. ლაზარაშვილი, ო. ჯვინერიაძე, ნ. ირემაძე — 28,4. კატამარანი „ტორნადო“. შ. კოკაია — მ. ბასკაკოვი — 3,0, რ. ჩიჩოევი — ი. შარაშენიძე — 12,0, ი. კოკაია — თ. მახარაძე — 36,5.

ც. ქიმისტარიშვილი.

სარბიელზე არიან მოსწავლეები

# ვისაც ჯერ არს...

ფოთში ამას წინათ დამთავრდა საქართველოს მოსწავლეთა სამემოდგომო ტურნირი ხელბურთში. გამარჯვებისთვის მებრძოლნი — თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, ლანჩხუთისა (გოგონები) და სამტრედიის (ჭაბუკები) გუნდები თავიდანვე 2-2 ქვეჯგუფად დაიყვნენ. ქვეჯგუფებში I და II ადგილებზე გასულმა კოლექტივებმა შექმნეს ფინალური ჯგუფები, სადაც ასევე წრიული სისტემით საპრიზო და დანარჩენი ადგილები გაინაწილეს.

გოგონათა ასპარეზობაში (პირველ ქვეჯგუფში) კარგი მომზადება გამოავლინა რუსთავის ნაკრებმა, რომელმაც თანმიმდევრობით დაამარცხა სამხრეთ ოსეთის (20:9), ფოთისა (24:9) და აფხაზეთის (21:11) კოლექტივები. ოსეთის ხელბურთელებმა სძლიეს ფოთისა (16:5) და აფხაზეთის (15:12) გუნდებს.

თბილისელ სპორტსმენებს მეორე ქვეჯგუფში ბადალი არ ჰყავდათ. მათ, მართალია, იოლად არცერთი მატჩი არ მოუგიათ, მაგრამ განსაკუთრებით დაძაბულ წინააღმდეგობას ქუთაისელ ხელბურთელებთან შეხვედრაში წააწყდნენ და ერთი ბურთის სხვაობით (13:12) გაიმარჯვეს. მათვე სძლიეს აჭარისა (15:9) და ლანჩხუთის (14:9) კოლექტივებს. ქვეჯგუფში II ადგილი ხვდათ ქუთაისელებს, რომლებმაც ფინალის საგზურისთვის ბრძოლაში აჭარისა (23:15) და ლანჩხუთის ხელბურთელები დაამარცხეს — 19:15.

ფინალურ ჯგუფში თბილისის გოგონათა გუნდმა სამხრეთ ოსეთისა და რუსთავის კოლექტივებთან შეხვედრაში 3 ქულა მოიპოვა. პირველს მოუგო 17:12, ხოლო რუსთავის ხელბურთელებთან ფრედ 17:17 ითამაშა. თბილისელებს საბოლოოდ 5 ქულა დაუგროვდათ (2 ქულა ქვეჯგუფიდან ქუთაისელებზე გამარჯვებისთვის გადმოჰყვათ) და მათ პირველობა დაისაკუთრეს. II ადგილი წილად ხვდათ რუსთავის სპორტსმენებს, რომლებმაც ფინალში მეორე შეხვედრაც (ქუთაისთან 13:13) ფრედ დაამთავრეს და საბოლოოდ 4 ქულა მოაგროვეს. ქუთაისის ხელბურთელები ოსეთის გუნდთან შეხვედრაში გამარჯვების წყალობით (20:16) III საპრიზო ადგილზე გავიდნენ.

ჭაბუკთა შეჯიბრება უფრო დაძაბული გამოდგა. I ქვეჯგუფში რუსთავისა და თბილისის კოლექტივებმა ერთმანეთთან შეხვედრაში ფრედ (15:15) ითამაშეს, შემდეგ ბათუმისა და აფხაზეთის გუნდები დაამარცხეს, მაგრამ იმის გამო, რომ თბილისელებს ბურთების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდათ, ქვეჯგუფში პირველობა მათ მიეკუთვნათ.

მეორე ქვეჯგუფიდან საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს სამტრედიისა და ფოთის კოლექტივებმა. ფოთისა და სამხრეთ ოსეთის სპორტსმენებს ქვეჯგუფში 3-3 ქულა დაუგროვდათ, მაგრამ ფოთელებს ბურთების უკეთესმა სხვაობამ უშველა.

თბილისისა და რუსთავის ხელბურთელებმა ფინალშიც ორივე მეტოქეს მოუგეს. თბილისელებმა სამტრედიელებს სძლიეს ანგარიშით 17:12, რუსთაველებმა — 16:14. დედაქალაქის მოსწავლეთა კოლექტივმა მასპინძლები დაამარცხა ანგარიშით 21:10, რუსთავის წარმომადგენლებმა — 14:10, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა პირველობის ბედი თბილისის ნაკრების სასარგებლოდ. III ადგილი ერგო სამტრედიის კოლექტივს.

სამემოდგომო ტურნირს ცუდად მომზადებულნი შეხვდნენ ფოთისა და აჭარის გოგონათა, აფხაზეთისა და ქუთაისის ჭაბუკთა გუნდები. ტურნირში ამ კოლექტივების ასეთ წარუმატებლობას აფხაზეთისა და აჭარის განათლების სამინისტროები, ქუთაისისა და ფოთის განათლების განყოფილებები სათანადოდ უნდა ჩაუფიქრდნენ და გუნდების უხეიროდ მომზადებისთვის პასუხი მოსთხოვონ მათ, ვისაც ჯერ არს.

ო. ივდოშვილი.

# ვინც თავი გამოიჩინა

სოხუმში გამართულმა მოსწავლე-ფრენბურთელთა სამემოდგომო რესპუბლიკურმა პირველობამ ჭაბუკებისა და გოგონების 8-8 გუნდს მოუყარა თავი. ისინი 2-2 ქვეჯგუფად დაიყვნენ. ქვეჯგუფებში გამარჯვებულებმა I და II ადგილები გაითამაშეს, მეორე ადგილებზე გასულები ერთმანეთს III და IV ადგილებისთვის შეებრძოლნენ და ა. შ.

გოგონათა შორის ქვეჯგუფებში უძლიერესები აღმოჩნდნენ თბილისისა და მასპინძელთა კოლექტივები. მათი გადამწყვეტი მატჩი კი თბილისელების გამარჯვებით დამთავრდა — 3:1. მესამე ადგილზე გავიდა ქუთაისის კოლექტივი, რომელმაც ფინალში ასეთივე ანგარიშით სძლია წყალტუბოელ ფრენბურთელებს.

ჭაბუკთა კოლექტივების შეჯიბრება თბილისის პირველმა ნაკრებმა მოიგო. ფინალში მისი მეტოქე იყო ქუთაისის გუნდი. თბილისელებმა მოწინააღმდეგე მშრალი ანგარიშით (3:0) დაამარცხეს. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის მეორე გუნდისა და აფხაზეთის ფრენბურთელები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:0.

ტურნირის მიზანი იყო მოსწავლეთა მომავალი საკავშირო სპარტაკიადისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების შემოწმება. სამწუხაროდ, სასპარეზოდ ყველამ სათანადოდ დაკომპლექტებული კოლექტივის გამოყვანა ვერ შეძლო. მაგალითად, შეჯიბრებაზე სუსტად გამოვიდნენ წყალტუბოს, ცხინვალისა და რუსთავის გოგონების და აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ჭაბუკთა გუნდები. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ აღნიშნული კოლექტივების დაკომპლექტებაზე პასუხისმგებლები საქმეს გულგრილად მოეკიდნენ.

ნ. ტანტიბა.

# ნდობა ისევ გამოუცხადეს

გაიმართა დოსაафის ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის X კონფერენცია.

ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა დოსააფის ზუგდიდის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. გვილიამ. სარევიზიო კომისიის ანგარიშით გამოვიდა მისი თავმჯდომარე ნ. სართანია.

მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ი. ანთიამ (დარჩელის საშუალო სკოლის მასწავლებელი), ნ. შურღულიამ (დოსააფის ზუგდიდის რაიონის ავტო-მოტოკლუბის უფროსი), ბ. კუდავამ (კახათის საშუალო სკოლის მასწავლებელი), თ. აფაქიძემ (ზუგდიდის საშუალო სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი), გ. გვარამიამ (ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის დოსააფის კომიტეტის თავმჯდომარე), მ. ჯიაძემ (ზუგდიდის სატყეო მეურნეობის დოსააფის კომიტეტის თავმჯდომარე), რ. ბულიამ (ზუგდიდის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე).

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. შვანგირაძე.

დოსააფის ზუგდიდის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია საბჭოთა კავშირის გმირი ა. ბუკია, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — ნ. სართანია.

ბ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

# სოხუმის თასი — „სამხრეთს“

ამ დღეებში სოხუმში დამთავრდა შეჯიბრება მოტოკროსში სოხუმის თასზე. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ სოხუმის (3), ქუთაისის (2), სამტრედიის, გარდაბნის, აგურეთის, კრასნოდარის მხარის, სოჭისა და ადლერის სპორტსმენები.

175 კბ. სანტიმეტრის მოცულობისძრავიანი მოტოციკლებით რბოლაში (ორი ცდის ჯამში) ჭაბუკთა შორის ყველას სამტრედიელმა ვ. მარტინოვმა აჯობა. II ადგილზე გავიდა სოხუმის სპორტულ-ტექნიკური კლუბის „სამხრეთის“ გუნდის წევრი ი. კნიაზევი, III — მისი თანაქალაქელი, ავტო-მოტოკლუბის გუნდის წევრი ვ. ფაფაზიანი.

ვაჟთა შორის რბოლა მოიგო ნ. კასიანოვმა (სოხუმი, „სამხრეთი“), II ადგილზეა თ. რაისოვი (ქუთაისი), III — რ. მინასიანი (სოხუმი, ავტო-მოტოკლუბი).

350-ანებით ასპარეზობაში ყველაზე კარგად იარა ქუთაისელმა ვ. კოვალენკომ. მასპინძლები, „სამხრეთის“ წევრები ი. კაშარავა და მ. მიქაელიანი მომდევნო ადგილებზე გავიდნენ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება და თასი „სამხრეთის“ სპორტსმენებმა დაისაკუთრეს.

ხ. ვართანიანცი.

# სპორტული მესტაფონი

## გულთბილი შეხვედრა

ზესტაფონი ამაყობს თავისი აღზრდილი სპორტსმენებით, რომელთაც საქართველო ბევრჯერ უსახელებიათ დიდ სარბიელზე. ამას წინათ ზესტაფონელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს აქ აღზრდილ ცნობილ სპორტსმენებს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ სახელგანთქმული მოჭიდავეები მ. მაჩაბელი, ოლიმპიური ჩემპიონი და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი დ. ციმაკურიძე, ფარიკაობაში სსრ კავშირისა და რესპუბლიკის ჩემპიონები და პრიზიორები ჯ. მაჭავარიანი, ნ. ასათიანი, ზ. ფხალაძე, ლ. მეყრიშვილი, მათი აღმზრდელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ს. საყვარელიძე, სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი ველოსპორტში ო. დადუნაშვილი, ფეხბურთელები გ. პეტრიაშვილი, გ. ნიშნიანიძე, გ. ქოჩიაშვილი, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ძალოსნობაში მ. ძღენტი, ხელბურთელი ჯ. ზაქარიაძე და სხვ.

ზესტაფონელ სპორტსმენთა წარმატებების შესახებ ილაპარაკა რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ კ. მაზიაშვილმა. გამოჩენილ სპორტსმენებს მიესალმა საქართველოს ალკკ ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი თ. მერკვილაშვილი. სიტყვები წარმოთქვეს სტუმრებმაც.

შეხვედრა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩატარდა. მას დიდძალი ახალგაზრდობა დაესწრო.

## იმსჯელეს...

საინტერესოდ ჩატარდა განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების ზესტაფონის IX რაიონული კონფერენცია. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა პროფრაიკომის თავმჯდომარე ა. ლომთაძე. კამათში ბევრმა დელეგატმა მიიღო მონაწილეობა.

კონფერენციის მონაწილეებმა ჯერ მიღწეულ წარმატებებზე ილაპარაკეს, მერე კი ყურადღება გაამახვილეს საშუალო და რვაწლიან სკოლებში ფიზკულტურის სწავლებაში შემჩნეულ ხარვეზებზე. აღინიშნა, რომ პროფრაიკომის ხელმძღვანელობა ნაკლებად ზრუნავდა მასწავლებელთა შორის სპორტული მუშაობის ფართოდ გაშლისთვის. არც მშდ კომპლექსის ნორმატივების მასობრივად ჩაბარებისთვის გაკეთებულა ბევრი რამ. ზოგმა დელეგატმა თქვა, რომ სკოლებში მოსწავლეთა სამედიცინო შემოწმება არ ტარდება. იშვიათად ეწყობა ექსკურსიები და ლაშქრობები.

კონფერენციამ მიიღო დადგენილება მუშაობის გაუმჯობესების მიზნით.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. მერკვილაძემ, განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორმა ნ. შველიძემ.

## 360 მოსწავლის მონაწილეობით

ამას წინათ ფეროშენადნობთა ქარხნის სტადიონზე რაიონის საშუალო სკოლების 360 მოსწავლე მშდ კომპლექსის მრავალჭიდში გამოცდას აბარებდა.

21 მოსწავლემ გამოცდა ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩააბარა, 91 — ვერცხლის ნიშანზე.

ა. განუგრავა.
(ჩვენი კორ.).



თბილისის ზღვა კარგა ხანია წყალსამოტორო სპორტში დაოსტატების ბაზად გადაიქცა. აქ განსაკუთრებით რეგულარულად ვარჯიშობენ საქართველოს დოსააფის ნაკრები გუნდის წევრები, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის ემზადებიან.

* * *

სურათზე: რესპუბლიკის ნაკრების წევრი, თბილისის მხუბუქი ტაქსების მე-2 კონტორის მძღოლი გ. არეშოვი მორიგი ვარჯიშის დროს.

ხ. ვართანიანცის ფოტო.

# ფეხბურთი

გამართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

● „მეტალურგი" (რუსთავი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 3:3. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

ანგარიში მატჩის დასაწყისშივე გახსნა გორელმა რევაზიშვილმა, შესვენებისთვის კი მიქამავაძის მიერ გატანილი 2 ბურთის წყალობით წინ იყო „მეტალურგი". შემდგომში ალადაშვილმა კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი, მაგრამ ამის შემდეგ მასპინძლებმა შეასუსტეს თამაში, რაც კარგად გამოიყენეს სტუმრებმა და იხსნეს ქულა (გელდიაშვილი, რევაზიშვილი).

● „მაღაროელი" (ჭიათურა) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 2:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

ხანგრძლივი წვიმისგან ატალახებულ მინდორზე მასპინძლებმა კარგი ფიზიკური მომზადება გამოავლინეს, ამას გარდა, ისინი თამაშობდნენ მთელი მონდომებით, ვინაიდან გამარჯვება მათ საბოლოოდ უნაღდებდა II საპრიზო ადგილს. სევასტოპულოს და კაციტაძის მიერ გატანილმა 2 გოლმა ჭიათურელებს მოუტანა საჭირო გამარჯვება.

ამ მატჩში ჩადენილი უწესობისთვის გაფრთხილება მიეცათ ხ. კურსუას, დ. ქითანავას („ამირანი"), ბ. სევასტოპულოს და რ. მერმანიშვილს („მაღაროელი").

● „კახეთი" (თელავი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 2:1. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

ლოკომოტიველი წიკლაურის მიერ გატანილი გოლი გაქვითა ჩაველაშვილმა, მატჩის დასასრულს კი თბილისელთა კარში დანიშნული პენალტი ზუსტად გამოიყენა ცირეკიძემ.

● „ვარძია" (ასპინძა) — „ივერია" (ხაშური) 5:0. მსაჯი ნ. დუბროვინი (თბილისი).

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებული არიან ხაშურელი ფეხბურთელები თ. კობერიძე და მ. კიკაძე, ხოლო ასპინძელი შ. ბერიძე — უხეში თამაშისთვის.

● „სპარტაკი" (ცხინვალი) — „მეშახტე" (ტყიბული) 2:2. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).

უხეში თამაშისთვის გაფრთხილება მიეცა ცხინვალელ ვ. თედეევს.

● „მეტალურგი" (რუსთავი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 3:1. მსაჯი თ. ფანიაშვილი (თბილისი).

თამაშის დასაწყისში მიქამავაძის მიერ გატანილ 2 გოლს შემდგომში აზაძემ მესამეც დაუმატა და მასპინძელთა გამარჯვება რეალობად იქცა. ზესტაფონელებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ შეამცირეს განსხვავება ანგარიშში (სტურუა).

მსაჯთან კამათისთვის მინდვრიდან გაძევებულია ზესტაფონელი ს. გლიხიაშოვი.

● „გნთიადი" (თბილისი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 0:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო" (სოხუმი) 3:0. მსაჯი ჟ. ძნელაძე (თბილისი).

დინამოელთა კარში ბურთები გაიტანეს გუგუბერიძემ, გურასპაშვილმა და კორაშვილმა.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია სოხუმელი ლ. მირცხულავა.

● „ეგრისი" (ცხაკაია) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 2:1. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

მე-12 წუთზე დაწინაურდნენ ჭიათურელები (ქორიძე), შესვენების შემდეგ კი ინიციატივას მთლიანად მასპინძლები დაეუფლნენ, რაც დამთავრდა ქაჩიბაიას და ხოფერიას 2 გოლით.

● „მეტალურგი" (რუსთავი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 4:2. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

● „სალხინო" (გეგეჭკორი) — „დინამო" (სოხუმი) 3:2. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

III საპრიზო ადგილის პრეტენდენტი გუნდების მატჩი საინტერესო ბრძოლაში ჩატარდა. დასაწყისში დაწინაურდნენ მასპინძლები (ბაკურია), ხოლო საპასუხო ბურთი 11-მეტრიანი დარტყმით გაიტანა კაზაკოვმა. შემდეგ ოდიშარიამ და გაგუამ ზედიზედ ორჯერ გაიტანეს ბურთი დინამოელთა კარში, რასაც მათ მხოლოდ ერთით უპასუხეს (ანასტასიადი).

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (რუსთ.) | 38 | 23 | 11 | 4 | 72—29 | 57 |
| „მაღარ." | 38 | 23 | 6 | 9 | 69—26 | 52 |
| „ეგრისი" | 38 | 20 | 9 | 9 | 65—39 | 49 |
| „სალხინო" | 37 | 17 | 13 | 7 | 55—34 | 47 |
| „დინამო" | 37 | 18 | 9 | 10 | 68—42 | 45 |
| ჰპკ | 37 | 17 | 10 | 10 | 74—50 | 44 |
| ფიზკ. ინს. | 37 | 18 | 8 | 11 | 71—57 | 44 |
| „შუქურა" | 38 | 16 | 11 | 11 | 57—40 | 43 |
| „ლოკომ." | 38 | 16 | 11 | 11 | 64—49 | 43 |
| „მეტალურგი" (ზესტ.) | 38 | 13 | 13 | 12 | 62—50 | 39 |
| „ამირანი" | 37 | 14 | 9 | 14 | 51—49 | 37 |
| „კახეთი" | 37 | 14 | 8 | 15 | 50—57 | 36 |
| „მეშახტე" | 38 | 13 | 10 | 15 | 48—62 | 36 |
| „ქართლი" | 37 | 13 | 7 | 17 | 64—69 | 33 |
| „კოლხეთი" | 38 | 10 | 10 | 18 | 46—66 | 30 |
| „ვარძია" | 37 | 12 | 5 | 20 | 44—59 | 29 |
| „ივერია" | 38 | 11 | 6 | 21 | 37—70 | 28 |
| „განთიადი" | 38 | 7 | 11 | 20 | 41—65 | 25 |
| „სულორი" | 38 | 6 | 7 | 25 | 33—88 | 19 |
| „სპარტაკი" | 38 | 5 | 6 | 27 | 40—110 | 16 |

• • •



სურათზე: საქართველოს 1974 წლის ჩემპიონი ფეხბურთში — რუსთავის „მეტალურგი". პირველ რიგში (მარცხნიდან): ი. ალადაშვილი, ვ. მელაძე, ი. კენკიშვილი, ზ. გაგუა, თ. კონიაშვილი, ვ. აგერინი, გ. კირვალიძე, ა. პავლოვი, ზ. ჭაფარიძე; მეორე რიგში — გუნდის მწვრთნელი ფ. პელიძე, თ. მიქაზავიძე, ზ. მაისურაძე, თ. შენგელია, გ. სიმონიშვილი, მ. ჯიქია, ლ. გოგუაძე, თ. ლოლობერიძე, მ. გოგიტიძე, მ. აზაძე, დ. კურცხალია.

რ. გაბრიჭიძის ფოტო.

# საინტერესო... ანტრაქტი

ჰოკეისტთა საკავშირო ჩემპიონატში კვლავ დაიწყო ანტრაქტი, რომელიც იანვრის შუა რიცხვებამდე გასტანს, მაგრამ ამ პოპულარული თამაშის მოყვარულები მოწყენილი, მაინც არ იქნებიან, ვინაიდან საუკეთესო საბჭოთა ჰოკეისტები ბევრ საერთაშორისო შეხვედრაში მიიღებენ მონაწილეობას.

12, 13 და 15 დეკემბერს საბჭოთა ნაკრები ლუჟნიკში შვეციის ეროვნულ გუნდს შეხვდება „იზვესტიის" პრიზის გათამაშების ჩარჩოებში. 18, 19 და 21 დეკემბერს მას მატჩები ექნება ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ გუნდთან.

ამ მატჩებში მონაწილეობისთვის მსოფლიო ჩემპიონთა მწვრთნელმა ბ. კულაგინმა, მისმა თანაშემწეებმა კ. ლოკტევმა და ვ. იურზინოვმა მიიწვიეს მეკარეები ტრეტიაკი (ცსკა), სიდელნიკოვი („კრილია სოვეტოვი") და შაპოვალოვი (ასკ, ლენინგრადი); მცველები ლუტჩენკო, გუსევი და ციგანკოვი (ცსკა), ვასილიევი და ფილიპოვი (მოსკოვის „დინამო"), კუზნეცოვი, შატალოვი და ტიურინი („კრილია სოვეტოვი"), თავდამსხმელები მიხაილოვი, პეტროვი, ხარლამოვი და ვიკულოვი (ცსკა), შალიმოვი, შადრინი და იაკუშევი („სპარტაკი"), მალცევი (მოსკოვის „დინამო"), კაპუსტინი, ლებედევი, ანისინი, ბოდუნოვი („კრილია სოვეტოვი").

დეკემბრის მეორე დეკადაში სსრ კავშირის მეორე ნაკრები მატჩების სერიას ჩაატარებს კანადაში მოყვარულთა საუკეთესო გუნდებთან. როგორც საგდესის კორესპონდენტს ვ. დვორცოვს მწვრთნელებმა ვ. ტიხონოვმა და ა. პრილეპსკიმ აცნობეს, გუნდის შემადგენლობაში არიან შემდეგი ჰოკეისტები: მეკარეები პოლუპანოვი (მოსკოვის „დინამო"), კრივოლაპოვი („სპარტაკი"); მცველები ასტაფიევი, კულიკოვი და ფიოდოროვი („ტორპედო"), კოროტკოვი („სპარტაკი"), ვოლჩენკოვი (ცსკა), გლუხოვი და ტერიოხინი („კრილია სოვეტოვი"), კრიკუნოვი („კრისტალი"), თავდამსხმელები კოტოვი, რეპნიოვი, კლიმოვი („კრილია სოვეტოვი"), ა. გოლიკოვი („ხიმიკი"), ბალდერისი (რიგის „დინამო"), ბლობანოვი („სპარტაკი"), ჟლუტკოვი და პოპოვი (ცსკა), კრავეცი და ორლოვი („ტორპედო"), ბარინევი („კრისტალი"), დევიატოვი (მოსკოვის „დინამო").

ნაკრები გუნდების შემადგენლობაში თამაშის შემდეგ უძლიერესი ჰოკეისტები თავიანთ კლუბებს დაუბრუნდებიან. დეკემბრის დამლევსა და იანვრის დასაწყისში უმაღლესი ლიგის ბევრი საბჭოთა გუნდი მონაწილეობას მიიღებს საზღვარგარეთ გამართულ ტრადიციულ საახალწლო ტურნირებში: „კრილია სოვეტოვი" გამოვა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ცსკა — კანადაში, მოსკოვისა და რიგის „დინამოს" გუნდები, „სპარტაკი" და „ტორპედო" — შვეციაში. დაგეგმილია, აგრეთვე, „ხიმიკისა" და ლენინგრადის არმიელთა გამოსვლა საზღვარგარეთ.

ამავე დღეებში მეორე „საცდელ" მსოფლიო ჩემპიონატში ითამაშებს სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები ი. მოროზოვისა და ი. ტუზიკის ხელმძღვანელობით. ამ ტურნირის მატჩები ჩატარდება ვინიპეგში, აგრეთვე, კანადისა და აშშ-ს ახლოს მდებარე ქალაქების სტადიონებზე. ოკეანის გაღმა გაფრენის წინ საბჭოთა ჰოკეისტები შვეციაში მოაწყობენ ტურნეს.

• • •

სურათზე: ცსკა-ს და „კრილია სოვეტოვის" გუნდების მატჩის მომენტი. შეტევაზე არიან „კრილია სოვეტოვის" ჰოკეისტები.

ა. იაკოვლევის ფოტო. (საგდესი).



# მსოფლიოს უპირველესი მეკარე

ვინ არის მსოფლიოში უპირველესი ჰოკეისტი მეკარე? ამ ერთი შეხედვით რთულ კითხვაზე დღეს ძალიან ადვილია პასუხის გაცემა: მოსკოვის ცსკა-ს გუნდისა და სსრ კავშირის ნაკრების კარის გუშაგი ვლადისლავ ტრეტიაკი.

ვლადისლავმა ბრწყინვალედ ჩაატარა სსრ კავშირისა და კანადის ნაკრები გუნდების შეხვედრათა მეორე სერია სექტემბერ-ოქტომბერში. განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის მას კანადის ქალაქებში ჩატარებულ რთულ მატჩებში მოპოვებულ წარმატებაში. თვით ბობი ჰალიც კი ხშირად უძლური იყო საბჭოთა მეკარის ოსტატობის წინააღმდეგ.



მოგაგონებთ, რომ ტრეტიაკი საუკეთესო იყო სსრ კავშირის ნაკრებში ბოლო მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ჰელსინკში ჩატარდა. იგი იქ მსოფლიოს უძლიერეს მეკარედ აღიარეს. საბჭოთა სპორტულმა ჟურნალისტებმა ვლადისლავი ყოველკვირეული „ფუტბოლ-ჰოკეის" ანკეტაში სეზონის საუკეთესო ჰოკეისტად დაასახელეს.

ახლა ტრეტიაკი ოცდამესამე წელიწადშია. აქედან ნახევარი სპორტს მოახმარა. ათი წლის ბიჭი იყო, ცსკა-ში რომ მოვიდა და ახლაც ამ გუნდში თამაშობს. ცოლშვილიანია. მისი მეუღლე ტანია სტუდენტია. ჰყავთ ვაჟი — დიმკა. თავისუფალი დრო ცნობილ მეკარეს ძალიან ცოტა აქვს, მაგრამ, როგორც კი რამდენიმე საათს „იპოვის", ვლადისლავი თავის „ლადაში" ჩაჯდება და მთელი ოჯახით ქალაქგარეთ გადის. საჭესთან ტრეტიაკი ნამდვილი სპრინტერია. ამ მხრივ მხოლოდ თანაკლუბელ ვალერი ხარლამოვს შეუძლია მას მეტოქეობა გაუწიოს.

ახლახან მოსკოვში მიწვევა მოვიდა: მთელ მსოფლიოში ცნობილი ჰოკეისტი, „ბოსტონ ბრიუინზის" მოთამაშე ბობი ორი ტრეტიაკს თავის საწვრთნელ ბანაკში იწვევს, რათა აშშ-ს და კანადის საუკეთესო ახალგაზრდა მეკარეებს გამოცდილება გაუზიაროს.

ტრეტიაკს საუცხოო რეაქცია აქვს და ტანად მაღალია, ეს კი ძალიან საჭიროა ჰოკეისტი მეკარისთვის. რაც მთავარია, იგი საოცრად გაბედული ჭაბუკია.

ამხანაგები დიდ პატივს სცემენ ტრეტიაკს. მათ იგი ნაკრების კომორგად აირჩიეს. კომკავშირის ყრილობაზე ვლადისლავი ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩიეს.

• • •

სურათზე: ვ. ტრეტიაკი.

ვ. უნ და-სინის ფოტო. (საგდესი).

# სტუდენტთა თასი

შედგა უმაღლესი სასწავლებლების რესპუბლიკური თასის გათამაშების მეორე ეტაპის შეხვედრები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფეხბურთელებმა ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდთან გამარჯვებით (4:2) გაინაღდეს შემდგომ ეტაპში მონაწილეობის უფლება. ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა შინ რევანში აიღეს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდთან — 2:1, მაგრამ პირველ შეხვედრაში დიდი ანგარიშით განცდილი დამარცხების გამო გამოეთიშნენ გათამაშებას.

თასისთვის ბრძოლას განაგრძობენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და ფიზკულტურის ინსტიტუტების კოლექტივები, რომლებმაც შესაბამისად დაამარცხეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა (4:0) და ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის (2:1) გუნდები.

სოხუმში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი პედაგოგიური და სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტების გუნდები. ანგარიშით 4:3 გაიმარჯვა სუბტროპიკული მეურნეობის ფეხბურთელთა კოლექტივმა, მაგრამ 2 მატჩის ჯამში საერთო წარმატება წილად ხვდათ პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჭამე, სვი და ფერხზე მოდიო.
ჭამდა, სვამდა და ფერხზე მოდიოდა.

გულზე ხელი დაიდეო, რომ ეუბნებოდნენ, ფულზე იდებდა ხელს... ფული კი იმდენი ჰქონდა, მტკვარს დააგუბებდა. ადიდდა მტკვარი და წალეკვით დაემუქრა. სხვა გარიყა ორთაჭალის ციხესთან, ეს ისევ მშრალად გამოვიდა. არადა, ყველაზე წყალწაღებული ესაა.

ახლა დგას და გულზე ხელს იბრაკუნებს:

— აბა, რა ეგონათ, რომ შეჭამეს ქვეყანაო!

ამ კაცს ყოველდღე ვხვდები კუს ტბაზე, სადაც დილის გამამხნევებელ ვარჯიშზე ვიკრიბებით ბიჭები. დიდი ხანი არ არის, რაც შემოგვიერთდა. ჩვენ მას „ტიპს" ვეძახით, რადგან მართლა გასაოცარი ტიპია, არც ძველში რომ არ წერია და არც ახალში.

კუს ტბაზე ყოველი დილა ქრონიკებითა და მორიგი საქალაქთაშორისო ჭორით იწყება.

— გაიგეთ?.. ის მოუხსნიათ!...

— უწინ იყო მოსახსნელი!.. — ამბობს ტიპი.

— ის დაუჭერიათ!..

— აქამდე იყო დასაჭერი!..

ვინაა ეს კაცი? — ვფიქრობთ ჩვენ.

— მადლობა ღმერთს, პატიოსან კაცს ფასი დაედო, — პატიოსანი კაცივით ამბობს ის.

— მერე, ამას რა უხარია!.. — ვამბობთ ჩვენ... გულში და ერთი სული გვაქვს, როდის ვეტყვით პირში.

თუმცა, ასეთ კაცს გინდა პირში უთხარი, გინდა ზურგში.

მიკვირს, ღმერთმანი, ხალხი ორპირ ქარს ერიდება და კაცს — არა.

ერთხელ ხაშზე წაგვრეკა შინ.

სახლი აშკარად ახალგაქურდულს ჰგავდა, მაგრამ ამაზე კრინტი არ დაუძრავს, ვინაიდან ამ საქმეში თვითონ მისი ხელი ერია. ოთახებში ჭერზე ნაჭალარი რკინის ყუნწები ეკიდა, კედლებს ვეებერთელა სურათების ნაკვალევი აჩნდა, ჩიპენდეილის სასადილოს გატანაც მოესწროთ. ეს იქიდან ჩანდა, რომ ბრიტანული გარნიტურიდან დარჩენილი როკოკოსა და გოთური სტილის ერთი ანტიკვარული სკამი გაკვირვებული იდგა კუთხეში.

— აქ საქმე გვაქვს ევრეთ წოდებულ თვითკონფისკაციასთან... — ჩვენს წრეში ერთი იურისტი გვერია, იმან გადმომილაპარაკა ეს და დაუმატა: — გადამალა ყველაფერი უპატიოსნებასთან ერთად და ახლა პატიოსნებაზე დებს ცარიელ თავს.

გადაგვრევს ეს კაცი. დღე არ გავა, სხვას ჭკუა არ დაარიგოს. სადა აქვს დასარიგებელი!

— საიდან ეს მანქანა?

— საიდან ეს დიპლომი?

— საიდან ეს ლამაზი ცოლ-შვილი?.. — გამოლმა გვედავება.

შეიშლება კაცი ჭკუაზე, ჭკუაზე თუა.

არადა, შუბლზე აწერია საკუთარი სახელი: „ქურდი!"

ოღონდ მარჯვნიდან მარცხნივ კი არა, შებრუნებით.

... მაგრამ ყველას როდი უყვარს თავის შეწუხება უკუღმართობის ამოსაკითხავად!

მადლია ახლა ამას სიგრძე სიგანედ უქციოს კაცმა. თუმცა, ეტყობა, იგივე აზრისაა ამ გვამზე მამაზეციერიც: სიგრძე და სიგანე უკვე ერთი აქვს.

ჩვენ მაინც ჩვენი მხრიდან გვინდა ვცეთ პატივი.

— კრივის სექციაში ხომ არ ინებებდით ჩაწერას? — აპარებს ერთ-ერთი ჩვენგანი, რომელიც მასთან დღემდე საიდუმლოდ ინახავს, რომ მოზარდთა შორის რესპუბლიკის ჩემპიონია კრივში.

— თქვენთვის ცურვა აჯობებდა, — ექაჩება მეორე წყლისკენ.

— მომავალ კვირას ტყეში სოკოს საკრეფად მივდივართ, ხომ არ წამოხვალთ? — ვაპარებ მე.

მჭამელი კაცია, მაგრამ ამას არ ჭამს.

— მაშინ დაჭერობანა ვითამაშოთ, — ვუჩლექთ ენას. აქ მაინც დავიჭერთ ამ შობელძაღლს... — თქვენ გაიქცევით, ჩვენ დაგიჭერთ!

მიხვდა ქარაგმას, ფერმა გადაჰკრა.

— რა მჭირს თქვენი დასაჭერი! — შემოგვიღრინა, მერე ისევ მოჰყვა ალილოს: — ერთი წესიერი, პატიოსანი კაცი ვარ... არ ვარ თუ?

— ხარ! ხარ! ხარ! — ატყდა ერთი ხარხარი.

— აბა, რა გავაკეთოთ. დასუჭობანას თქვენთან ვერ ვითამაშებთ, ჩემო ბატონო, და... — ისევ სპორტული გაჯანსაღების ამოცანებზე წამოიჭრა ლაპარაკი: — მოთელვა ხომ გინდათ?

ლახტზე დავითანხმეთ.

ახლა მოგიყვებით, ასე ვთქვათ, როგორ მოეხაზა ამ კაცს.

სხვათა შორის, სულ უბრალოდ.

სახელდახელოდ შემოვავლეთ ასფალტზე ცარცის პატარა წრე და ტიპი ჩვენს წრეში შევიპატიჟეთ.

იგი სულ დაღლილი იყო თავისი ხიმსუქნისგან. ქოშინით შემოვიდა ჩვენს წრეში, ქამარი მოიხსნა, მიწაზე გააწვინა და, სპორტული ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, საწყისი მდგომარეობა მიიღო.

— დავიწყოთ! — თქვა და დაიწყო (ენის ვარჯიშს იგი არასოდეს წყვეტდა): — იმან იკითხოს, გენაცვალე, ვინც ნამეტანი გაღორდა... მე სინდისი სუფთა მაქვს.

— ამას გარეცხილი სინდისი სუფთა ჰგონია, — ვამბობთ ჩვენ... გულში და ერთი სული გვაქვს, როდის ვეტყვით პირში.

— ჩემს ოჯახში რომ იყავით, ნახეთ, ძმაო, რამე ისეთი? — გავყავართ საქმეში.

— ისეთი არაფერი, — გვიშოვა ცრუმოწმეები.

— ასეთი?

— ასეთიც არაფერი.

— აგაშენათ ღმერთმა... ვერც მინახავენ, ნივთმტკიცებას ვერავინ მიპოვის.

გახურებული ლახტია. მისი ლაყბობის აკომპანემენტზე ციყვივით დავხტივართ, ვაწყდებით აქეთ-იქით. ის კი თავისას გაიძახის:

— მე პატიოსანი კაცი ვარ, მე თუ რამეს მიპოვიან... მე... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისვრის სიტყვებს და ტლინკებსაც ზედ აყოლებს. — საბუთი, საბუთი არ არის...

აბა, ეს რა არის? — კინაღამ წამომცდა და კაი გამომძიებელივით დავაშტერდი მის ლაჯებს შუა გაწოლილ ქამარს, რომელსაც რამდენიმე ადგილზე ეტყობოდა რკინის ბალთის ნაჭდევი.

— არც მთლად მასეა საქმე! — გახურებულ გულზე ორაზროვნად ვამბობ მე...

ერთი ეგ ჩალიჩი ჩამაგდებინე ხელში და მე შენ გაჩვენებ, როგორ უნდა ჩალიჩი.

თითქოს მიმიხვდა ჩვენი იურისტი:

— საბა ამბობს, ლახტი არს უმკვეთელო საცემი საომარი, — გვახსენებს წრეს გადასულ ბიჭებს.

— ვინაა, კაცო, საბა? — კითხულობს ტიპი და ქამართან ახლოს არ მიშვებს.

— არის ერთი.

ვცდილობ, როგორმე წავართვა ქამარი. ხან აქედან ვეპარები, ხან იქიდან... ამას რამეს გააგდებინებს ხელიდან კაცი? ჩიკორივით ტრიალებს, ხარივით აბრიალებს თვალებს. ბაყბაყდევივით ბღლვინავს, გიჟივით ცმუკავს ადგილზე და იქით მიპირებს ჩაჭრას, ფეხის დაბიჯებას, გასრესას.

ლახტი აზარტში შედის. ეს უკვე რაც გინდა დაარქვი, თამაშს აღარა ჰგავს. ლახტი კი არა, ომია. ისიც გრძნობს ამას და თავგანწირვით იცავს თავს, რომელიც ალბათ, მის გარდა აღარავის სჭირდება.

— არავის ფეხი არ ჩაუვა... — გაერთო ბიჭი.

რა უნდა, რას მიმტკიცებს?

— მაშ, რა ეგონათ...მე ერთი პატიოსანი... ნივთმტკიცებაა მთავარი. ვინ რას მეტყვის! — ყვირის ტიპი. არ არის ნივთმტკიცება!

— აბა, ეს რა არის? — ვიყვირე მეც და თავგანწირული ილეთით ქამარი ფეხებიდან ავართვი.

— რაო? — შეიკრა წრე.

— ა, ბატონო, ნივთმტკიცება! — ცხვირთან მივუტანე ქამარი. მერე დანარჩენებს მოვუბრუნდი და ნახევრად ხუმრობით, ნახევრად ოფიციალური ტონით განვაცხადე: — ამ კაცს დასაჭერად მისი ქამარიც ეყოფა!

რატომღაც ჩათვალეს, რომ მდგომარეობის განსამუხტავად საჭირო იყო სიცილი და ზრდილობისთვის გაიცინეს.

— რა გაცინებთ?

— აბა, ვიტიროთ?

ლახტი გაჩერდა.



(ფუი ეშმაკს)

— მე გამომძიებელი რომ ვიყო, ამ ქამარს საქმეში ჩავაკერებდი, როგორც ნივთმტკიცებას.

ტიპი, ადგილზე შეხტა.

— ვისი წელი და რა წელი ჰქონდა ამ კაცს ცხოვრებაში, ქამარზე უკეთ ვინ იცის?

ბიჭები სერიოზულად დაინტერესდნენ, ქამრის პატრონი კი ხუმრობის მცოდნე კაცივით გაურკვეველი ღიმილით ადევნებდა თვალს ჩვენს პროკურორობას.

— დიახ! მე ექსპერტი რომ ვიყო, ასეთ დასკვნას გამოვიტანდი, — ყველას დასანახად დიაგრამასავით დავკიდე ჰაერში ქამარი.

... ექსპერტიზაზე წარმოდგენილია მოქალაქე მელიას პირადი სარგებლობის ქამარი, რომელსაც მთელს სიგრძეზე გასდევს გასაშიფრავი მრავალწერტილი და აშკარად აჩნია ბალთის ნაჭდევები.

ქამრის მთელი სიგრძე-სიგანის დეტალური შესწავლით ექსპერტიზა მივიდა იმ დასკვამდე, რომ იგი ყველაზე უტყუარი, ობიექტური მოწმეა მისი პატრონის დანაშაულებრივი მოქმედებისა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის...

იურისტი წამომეხმარა:

— 96[1], 169, 189, 190, 191 მუხლებით...

ტიპს მუხლები აუკანკალდა.

— ქამარს აჩნია რკინის ბალთის ხუთი ნაჭდევი, რაც იმას მოწმობს, რომ მისი პატრონის ცხოვრება იყოფა ხუთ პერიოდად:

პირველი პერიოდი ასახავს სტუდენტობის წლებს, როცა კუჭი მიმხმარი ჰქონდა ზურგზე. ქამარი იკვრებოდა პირველ წერტილზე და ორ წრეს ურტყამდა წელს.

მეორე პერიოდი აღინიშნება ქამრის ნებაზე მიშვებითა და სამ წერტილზე მოშვებით. ეს პერიოდი ემთხვევა საზ. კვების ობიექტში კარტის ჩაწყობასა და ეკონომისტ-მოანგარიშედ მოწყობას.

მესამე პერიოდი აღნუსხავს საწყობის გამგედ მისი გადასროლის ეტაპს.

ამ ეტაპზე სამსახურებრივი წინ წაწევა ეტყობა ქამარსაც... ოთხი წერტილით მიდის წინ.

მეოთხე პერიოდი შეესაბამება ოჯახური მდგომარეობის გამო, პირადი განცხადებით... დირექტორად დანიშვნას.

როგორც იმჯერად, ისე ამჯერადაც არც ქამარი იცდის ადგილზე: გადაყვანილია შესაფერ თანამდებობაზე... უფრო სწორად, თანამდებობის შესაფერ წერტილზე.

ესაა ბოლო წერტილი. აქ მრავალწერტილი თავდება და ქამრის ბალთა კარგა ხანს ერთ დონეზე დევს, ასე ვთქვათ, სტაბილურ მდგომარეობაშია.

მეხუთე პერიოდი ასახავს წელში გასვლას. ქამრის პატრონი ევროპას საქმიანებს, რის გამოც ქამარი უკვე აღარ ეკვრება.

... რაც მინდოდა, ყველაფერი ვთქვი და ამოვისუნთქე.

ტიპმა ჩაისუნთქა.

ბიჭები იცინიან.

ტიპი არ იცინის და, ცოტა არ იყოს, ისიც ეჭვით აკვირდება ქამარს. ვინ იცის, ფიქრობს, ა?, თუ..., რა გვლეა მეტეა წელში.

— იცი რა გითხრა, ჩემო ძმაო...

— ისევ ჯანმრთელ მხრებზე ადარეს ავადმყოფი თავის გადატანას.

ვინაა შენ ძმა, ან რა უნდა ვჯიბრ?

— ვუფიქრობ გუნებაში. — ამ ტიპმა ამ ქამრით კიდევ სხვას უნდა ურტყას?

— წრეში, ჩადექი შენს წრეში! — ვყვირი და, როგორც დუელის დროს იცოდნენ, ისე ვაყენებ ხაზთან.

ისევ გახურდა ლახტი.

ზურგზე ბოლი უნდა ვადინო.

ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი... ვიქნევ მის ქამარს და ეშმაკის ფეხს ტკაცატკუცი გააქვს.

— აბა, ჰა, ეგეთები არ იყოს, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლუღლუღებს. ტყლაშატლუში გაუდის ქამარს. რაც ძალა და ღონე მაქვს, ვუჭრელებ კანჭებს.

ეს მიბეგვას უფრო ჰგავს, ვიდრე სპორტულ მოთელვას.

ალბათ ვერასდროს იფიქრებდა, საკუთარი ქამარი ამდენ უსიამოვნებას თუ მიაყენებდა ცხოვრებაში, თორემ მასაც სხვა უძრავ-მოძრავთან ერთად გადამალავ-გადაკარგავდა სადმე.

მეტი აღარ შეიძლებოდა.

დილის გამამხნევებელი ვარჯიშის დროც ამოიწურა.

— მომავალ შეხვედრამდე! — ტრადიციული ფრაზით, მაქსიმალური თავაზიანობით გამოვემშვიდობე ყველა ტიპზე საზიზღარ ტიპს და მისი ქამარი მიწაზე დავაგდე.

ჭრელი კაცის ჭრელი ქამარი დიდხანს ეგდო მიწაზე.

იგი მართლა საოცრად ჰგავდა გველს.

**გაიოზ ნიჟნიანიძე.**

---

96[1] — სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება.
169 — მყიდველთა მოტყუება.
189 — ქრთამის აღება.
190 — ქრთამის მიცემა.
191 — სამსახურებრივი სიყალბე.

---

## ობიექტივში მსოფლიო





### იაპონელები წარსულს იხსენებენ...

ბოლო წლებში მთელს იაპონიას მოედო სიძველისადმი ინტერესი. ამ მხრივ არც სპორტი დარჩენილა განზე. მაგალითად, ეწყობა შეჯიბრებები მშვილდოსნობაში ქვეითებისა და ცხენოსნებისთვის. შეჯიბრების დროს იცავენ ყველა ძველებურ რიტუალს. მონაწილეებს ძველებური ტანსაცმელი აცვიათ.





### აკრობატები ცხენზე

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში სულ უფრო პოპულარული ხდება შეჯიბრება აკრობატულ ცხენოსნობაში. როგორც ეს სურათები გვიჩვენებს, მხედრები ოსტატობით ოდნავაც არ ჩამოუვარდებიან ჩრდილოამერიკელ კოვბოებს.

---

რედაქტორის მოადგილე **ზ. ჯაფარიძე.**

---


## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ტანვარჯიში.** თბილისის განათლების განყოფილების ცენტრალური ტანვარჯიშული დარბაზი (პეტრიაშვილის ქ. № 7). **12-13 დეკემბერი.** საერთაშორისო შეხვედრა. საქართველო — უნგრეთი. დასაწყისი 18 ს.

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. ასკ-ს სტადიონი. **11 დეკემბერი.** ასკ (თბილისი) — „სალხინო" (გეგეჭკორი). დასაწყისი 12 ს.





გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი. „ლელო"

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14. 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55. სპორტული განყოფილება — 99-56-47. 93-97-53 ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და კადრების განყოფილებები — 93-97-51. წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81. კორექტორები — 93-97-49.